ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 8

მოსწავლე სპორტსმენთა საქმენი — მე-2 გვ.

მფრინავი ქალის მსოფლიო რეკორდები — მე-3 გვ.

ავსტრალიელ მოცურავეთა იმედი — მე-4 გვ.

ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოს“ და ცსკა-ს კალათბურთელთა გუშინწინდელი მატჩის მომენტი. საკავშირო ჩემპიონატის ამ შორიგ კალენდარულ შეხვედრაში მასპინძლებმა ჩინებულად ითამაშეს და ძლიერ მეტოქეს სძლიეს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(მატჩისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

1974 წ.
№ 230 (5260)
20 ნოემბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონები სასტენდო სროლაში



ზ. მაჩხანელი



თ. მატოიანი

რა არის ეს, უდარდელობა თუ უპასუხისმგებლობა?

სახალხო უნივერსიტეტის ავ-კარგი

— დავიწყოთ!

— კიდევ დავიცადოთ, იქნებ მოვიდნენ...

— ვინც გამოცხადდა, იმათ რაღას ვერჩით?

ასეთ დიალოგს მოჰკრავდით ყურს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობის დაწყების წინ.

ახალი სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა ჩატარდა. თემა მეტად აქტუალური და საინტერესო იყო. დასასრულ უჩვენეს კინოფილმი მიხელ ხერგიანზე.

ამ ამბავზე შეიძლება არც კი გაგვემახვილებინა ყურადღება, სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობის მასობრივად გაცდენა პირველი შემთხვევა რომ იყოს.

იქნებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მსმენელთა დროულად გაფრთხილება? არა, ზომები მიღებული იყო, ყველა ორგანიზაცია დროულად გააფრთხილეს, უფრო მეტიც, „ლელომ“ განცხადებაც კი გამოაქვეყნა, მაგრამ მეცადინეობაზე ამაოდ ელოდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების მასწავლებლებს, სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლებს, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების მწვრთნელებსა და სხვებს.

ერთი სიტყვით, პირველი მეცადინეობა ჩაიშალა. დიახ, ჩაიშალა. აბა, სხვა რა ითქმის იმ მეცადინეობის შესახებ, რომელსაც 400 მსმენელიდან მხოლოდ 17 პროცენტი ესწრება?

რა მოხდა, ნუთუ აღარაფერი გვაინტერესებს, ნუთუ ყველაფერი ვიცით? რა არის ეს, უდარდელობა თუ უპასუხისმგებლობა? ვფიქრობ, ორივე ერთად.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ სახალხო უნივერსიტეტი თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს? მაშინ თვალი გადავავლოთ მის სამუშაო თემატიკას: წვრთნის თანამედროვე პრობლემები, შშდ კომპლექსი, წვრთნის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები, ბავშვებთან მუშაობის თავისებურება, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა... ყოველ მეცადინეობაზე უჩვენებენ სასწავლო-სამეცნიერო და პოპულარულ ფილმებს. მოწვეული არიან საუკეთესო ლექტორები, გამოყოფილია ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზი. მეცადინეობა თვეში ერთხელ ტარდება...

— ჩვენი მწვრთნელების მომზადების დონე იმდენად უსუსურია, რომ მათ დაბალი თანრიგების სპორტსმენთა აღზრდაც კი უჭირთ, — განაცხადა სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრების წევრმა ჯ. ფხაკაძემ.

ამასვე ამბობენ მოწინავე მწვრთნელები და ხელმძღვანელები.

კიდევ გვიკვირს, რატომ ჩამოვრჩით სხვა რესპუბლიკებს.

მეგობრებო, რაღა შორს მივდივართ, მაგალითად მეზობელი რესპუბლიკები ავიღოთ, ვნახოთ, როგორ მუშაობს ხალხი, როგორ იყენებს ყოველივე ახალს; ვნახოთ, რა მჭიდრო კავშირი აქვთ მეცნიერებთან, ფიზიოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, რა განათლებული ხალხია მწვრთნელები. როგორ ვერ გაიგეთ, რომ სპორტი დღეს ინტელექტების ჭიდილია!

ვის ვზრდით, როგორ ვზრდით? განა ჩვენი აღზრდილი არ იყო ის სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, რომელსაც მსოფლიო შემოვლილი აქვს და სახელმწიფო გამოცდაზე მოსკოვს ალიასაზე ეძებდა?

რატომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი, წარსულში მოწინავე მწვრთნელების მაშინდელი ცოდნა დღეს აღარ კმარა? დღეს სულ სხვა დროა და სხვა მოთხოვნები. რატომ არ ფიქრობთ, რომ წვრთნა გაწვრთნას როდი ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდას სპორტის ანბანთან ერთად ცხოვრების და ადამიანობის ანბანიც უნდა ასწავლოთ. მაგრამ როგორ ასწავლით, როცა თავად არ გინდათ ისწავლოთ?

განა თქვენ ექიმებზე, სტატისტიკოსებსა და სოციოლოგებზე უკეთ არ ხედავთ, რომ მოზარდი თაობის საერთო ფიზიკური მომზადებისა და განვითარების საქმე სავალალო მდგომარეობაშია? განა ვერ ხედავთ, რომ დავკარგეთ ტრადიციები დიდ სპორტშიც? მოდით, საკუთარ თავსაც ვკითხოთ: ვაკეთებთ იმას, რაც გვევალება?

მაპატიეთ, პატივცემულო კოლეგებო. ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ სათანადო დასკვნების გაკეთება კი ყველას გვმართებს.

გ. ᲧᲘᲠᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

დოცენტი, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის პროორექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

P. S. სანამ ეს წერილი დაიბეჭდებოდა, სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა ჩატარდა. მის შესახებ ყველას დროულად შეატყობინეს, „ლელომაც“ თავის დროზე გამოაქვეყნა სათანადო განცხადება, მაგრამ...

თემა — „სპორტი და ახალგაზრდობის თავისუფალი დრო“ — მეტად აქტუალური და საინტერესო იყო. როგორც მომხსენებელმა, დოცენტმა ა. ციბაძემ აღნიშნა, ამ საკითხს გულგრილად არავინ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ დარბაზი კვლავ ნახევრად ცარიელი იყო.

გ. Უ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲠᲪᲚᲔᲑᲘ (რუსუდან სიხარულიძე და ნინა დრონოვა).

(ტანვარჯიშისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-2 გვ.).

ᲩᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲛᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲫᲘᲨᲙᲐᲠᲘ

სამხრეთ ყირგიზეთში, მაღალმთიან ბანაკ „ვისოტნიკში“ მეხუთე სპორტული სეზონი მიიწურა. აქ უკვე ათასზე მეტი მთამსვლელი იყო.

„ვისოტნიკი“ პამირის მთების ჭიშკარია. აქ არის საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალები: კომუნიზმის პიკი (7495 მ), ორი შვიდიათასიანი — ლენინისა და კორჟენევსკაიას პიკები, სირთულის უმაღლესი კატეგორიით შეფასებული მკაცრი მწვერვალები, ათობით უსახელო, ჯერ კიდევ დაუპყრობელი გოლიათი.

— მთები ბევრ ადამიანს იზიდავს. პამირის მთებში ძალის, ამტანობის, სპორტული ოსტატობის გამოსაცდელად უცხოელი სპორტსმენებიც ჩამოდიან. წლეულს, ჩვენი რესპუბლიკისთვის საიუბილეო წელს, — გვიამბობს „ვისოტნიკის“ უფროსი ვ. ზელენინი, — ბანაკში იყვნენ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრი სტუდენტები, ლენინგრადელი მთამსვლელები, „ტრუდის“ ექსპედიცია გორკიდან, კრასნოიარსკელი, კუიბიშეველი, სარატოველი, ფრუნზელი, უზბეკი და ტაჯიკი სპორტსმენები. ბევრი ავიდა კომუნიზმის, ლენინის, კორჟენევსკაიას მწვერვალებზე. მოეწყო ასვლები კრუპსკაიას, ტაჯიკეთის, ენგელსის პიკებზე. მთამსვლელებმა დროშები აღმართეს ორ უსახელო მწვერვალზე. ყირგიზეთის „სპარტაკის“ წარმომადგენლებმა დაიპყრეს ახალი მწვერვალი ლენინის პიკის სამხრეთით და რესპუბლიკის იუბილეს პატივსაცემად „ყირგიზეთის 50 წელი“ უწოდეს.

ხუთი წლის მანძილზე „ვისოტნიკში“ მომზადებულია 52 სპორტის ოსტატი, თითქმის ასი პირველთანრიგოსანი. დიდ წარმატებას მიაღწია სპორტის ოსტატმა ე. ნასონოვამ. იგი მონაწილეობდა კომუნიზმისა და კორჟენევსკაიას მწვერვალების დაპყრობაში, რისთვისაც სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციამ მიანიჭა ყველაზე მაღალი წოდება — „თოვლის ჯიქი“.

ახლა ბანაკში „სპორტული არდადეგები“ დაიწყო, მაგრამ მისი ხელმძღვანელები უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადებიან.

ფრუნზე.

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

მეტ ყურადღებას ვიმსახურებთ

ქართველი გულშემატკივრები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალს მსოფლიო პირველობას სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც ვარნაში ჩატარდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ტანვარჯიშის ღირსებას 12 სპორტსმენი იცავდა და მათ შორის სამი საქართველოს წარმომადგენელი იყო: ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის გ. რცხილაძის სახელობის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის მსმენელები რუსუდან სიხარულიძე, ნინა დრონოვა და პაატა შამუგია.

რ. სიხარულიძე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, თავისუფალ ვარჯიშში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი. დაბადებულია 1954 წელს. კომკავშირელია. სწავლობს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე. არის საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრების კაპიტანი, „დინამოს“ წევრი.

ნ. დრონოვა სპორტის ოსტატია, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი მოზარდებს შორის, მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი. დაბადებულია 1958 წელს, კომკავშირელია. სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსზე, „განთიადის“ წევრია.

პ. შამუგია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, სსრ კავშირის ნაკრების წევრი, საკავშირო თასის შარშანდელი მფლობელი, ქვეყნის ორგზის ჩემპიონი ღერძზე ვარჯიშში. დაბადებულია 1952 წელს, კომკავშირელია. სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის IV კურსზე. საქართველოს ვაჟთა ნაკრების კაპიტანია, „დინამოს“ წევრი.

სასიხარულოა, რომ ტანვარჯიშში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის მწვრთნელთა გამოცდილი კოლექტივისა და თვით სპორტსმენთა ხანგრძლივ შემოქმედებითს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

წარმატება შემთხვევითი როდია. მახსენდება რამდენიმე ეპიზოდი მსოფლიო პირველობისთვის ჩვენი ტანმოვარჯიშეების მზადების ბოლო ეტაპიდან. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით რ. სიხარულიძე ხანგრძლივად მეცადინეობდა თბილისში. აქ მას დამატებით დაენიშნა მწვრთნელი-აკრობატი და ინდივიდუალური მეცადინეობის სანიმუშო პირობები შეექმნა. მოწვეული იყო სსრ კავშირის ნაკრების ქორეოგრაფი გ. საგარინა, რათა უმოკლეს დროში ძირფესვიანად შეცვლილიყო სიხარულიძის თავისუფალი ვარჯიში; რუსიკოს ზომ დიდი ხანია ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ამ ვარჯიშის შესრულება ტანგოს ჰანგზე.

საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ლ. ლატინინას, საგარინას და ბეცეტვი გვეპარებოდა, რომ სიხარულიძე დაძლევდა ამ მეტად ძნელ ამოცანას. მაგრამ სპორტსმენის შეუპოვრობამ და მისი მწვრთნელის ა. გაბრიაძის მოთმინებამ ყველა სიძნელე გადალახა. ვარნის ფიცარნაგზე ქართველი ტანმოვარჯიშის მიერ შთამბეჭდავი მუსიკის თანხლებით შესრულებულმა თავისუფალმა ვარჯიშმა მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამის შესახებ კარგად წერდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ს. ტოკარევი: „მე არ მინახავს ჯერ მის ვარჯიშში ცალკეული დეტალების უფრო დახვეწილად და აღმაფრენით შესრულება“.

გული მტკივა და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ბათუმს დღემდე არა აქვს ტანვარჯიშის დარბაზი. სპორტსმენები ვარჯიშობენ ძველი ეკლესიის შენობაში, სადაც რამდენიმე სახეობაში ერთდროულად ტარდება მეცადინეობა. არა და არ დაადგა საშველი კომპლექსური სპორტული დარბაზის მშენებლობის დამთავრებას. ახალგაზრდობა კი ყოველ წუთს ელის ამ ძვირფას საჩუქარს. ვინ იცის, კიდევ რამდენი სიხარულიძე გაიზრდება ბათუმში!

მსოფლიო პირველობისთვის მზადების ბოლო ეტაპზე დაბა ლესელიძეში ნ. დრონოვა დიდი დატვირთვით მუშაობდა, იქანცებოდა, მაგრამ კომბინაციებს მაინც ამთავრებდა. თუ დაიჩივლებდა, საპასუხოდ ჩემთანაც ისვენდა იმას, რასაც ყოველდღე, ყოველ წუთს ეუბნებოდნენ მწვრთნელები ს. ბურჯანაძე და ვ. კლიმოვა: წარმატება მხოლოდ დიდი წვრთნისა და შრომის შედეგი შეიძლება იყოს.

რა თქმა უნდა, ჩვენს სპორტსმენებს სიძნელეების გადალახვა უჭირდათ, განსაკუთრებით ბოლო დღეებში, როცა მაქსიმალური დატვირთვის ასატანად დიდი ფიზიკური და მორალურ-ნებელობითი გამძლეობა უნდა გამოეჩინათ. მართალია, ჩვენმა გოგონებმა უკვე იცოდნენ, რომ საბოლოოდ დადგინდა გუნდში მათი მეცუთე და მეექვსე ნომრებად შეყვანა, მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევდა. როგორც ლატინინამ აღნიშნა, საკმარისი იყო სიხარულიძესა და დრონოვას ოდნავ მაინც შეეხუტებინათ დაგეგმილი წვრთნა, რომ მათი ადგილი შეეძლებოდა დაეკავებინა მეშვიდე ნომერს, კერძოდ ს. გრონდოვას, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის. ჩვენი გოგონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეინარჩუნეს ადგილები საბჭოთა ნაკრებში, მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვეს და ოქროს მედლებიც მიიღეს.

დასანანია, რომ პირად ჩათვლაში პ. შამუგიამ ვერავითარი ტიტულის მოპოვება ვერ შეძლო, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ საერთო ჯამი — 112,735 ქულა — საკმაოდ მაღალი შედეგია, რაც იმას მოწმობს, რომ ნაკრების წარმატებისთვის ქართველ სპორტსმენს თავი არ დაუზოგავს. იმედი გვაქვს, რომ შამუგია და მისი მწვრთნელი ჰანს ბურჯანაძე კიდევ უფრო მუტი მონდომებით იმუშავებენ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შესახვედრად, შემდეგ კი ოლიმპიურ თამაშებშიც გამოიჩენენ თავს.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, იმედს არ ვკარგავთ, რომ მუშაობა უკეთ წარიმართება. თანამედროვე ტანვარჯიშის დონე განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს, ურომლისოდაც რთული ელემენტისა და ნაერთების შესწავლა ძნელიან ძნელია. მართალია, ძველი დარბაზებიც შეძლებისდაგვარად გადავაკეთეთ, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ავიღოთ თუნდაც ტანვარჯიშული დარბაზი სანაპირო ქუჩაზე, სადაც უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპეციალიზებული სკოლის, საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები ვარჯიშობენ. იძულებული გავხდით ამ დარბაზშიც ზოგიერთი იარაღის ქვეშ გაგვიკეთებინა დამხმარე ორმოები. ამ დარბაზშიც ერთდროულად ვარჯიშობენ ქალთა და ვაჟთა გუნდები და ორივე კოლექტივს ხელი ემლება, მაგალითად, თავისუფალ ვარჯიშში მეცადინეობის დროს. აქაც შეიძლება მივაშენოთ მეორე დარბაზი ქალებისთვის მეთოდური კაბინეტებით, კინო-ფოტოლაბორატორიითა და სხვა დამხმარე სათავსოებით. ფართობი საკმარისია.

პირობების გაუმჯობესება მეტს დაგვავალებს და ჩვენც უფრო დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით საქმეს, უფრო თამამად მოვთხოვთ სპორტსმენებს მონდომებით შრომას.

ვ. ჯაფელი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის გ. რცხილაძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორი.

კიდევ ერთი ამხანაგური

საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი (უფროსი მწვრთნელი — ოსტატი ა. ბუსლაევი, მწვრთნელი — ოსტატი დ. ჯანლოვი) კარგა ხანია ემზადება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის, რომელიც გაესად გაიმართება (მოჭადრაკეები რიგში ითამაშებენ). გუნდს დაგეგმილი აქვს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შემადგენლობით (7 ვაჟი, 2 ქალი) ამხანაგური შეხვედრების გამართვა სხვა რესპუბლიკის კოლექტივებთან. გუნდის წევრები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა თვალსაჩინო ტურნირში.

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო საქართველოს მოჭადრაკეთა კიდევ ერთმა ამხანაგურმა მატჩმა, ამჯერად — ბელორუსიის წარმომადგენლებთან. შეხვედრა ოთხ წრედ გაიმართება.

ჩვენს გუნდში არიან: ვაჟები — დიდოსტატი ბ. გურგენიძე, ოსტატები თ. გიორგაძე, ე. უბილავა, ა. იზვოზჩიკოვი, ა. ბოკუჩავა, ა. ტუზოვსკი, ოსტატობის კანდიდატები ზ. მიქაძე, გ. ზაიჩიკი; ქალები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, საერთაშორისო ოსტატი მ. ჩიბურდანიძე, ოსტატი ც. კობაიძე.

სტუმრების გუნდში თამაშობენ ვაჟები — ოსტატები ა. კაპენგუტი, ე. მოჩალოვი, მ. შერეშევსკი, ს. ბიგუნი, ა. როიზმანი, ოსტატობის კანდიდატები ნ. ცარენკოვი, ლ. ბასინი; ქალები — სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ზეორიკინა, ოსტატობის კანდიდატი ტ. კოსტინა. გუნდის უფროსი მწვრთნელია ცნობილი თეორეტიკოსი, დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი.

— ჩვენი გუნდის ძირითად წევრებს საზოგადოებრიობა კარგად იცნობს. ახლა გვინდა ღირსეულ მოთამაშეთა შერჩევა ვაჟთა ბოლო დაფებისთვის. ბელორუსიელ მეგობრებთან შეხვედრა, ვფიქრობთ, დაგვეხმარება იმაში, რომ კიდევ ერთხელ დავუკვირდეთ ამ დაფებზე კანდიდატების თამაშს, — გვითხრა საქართველოს გუნდის თავკაცმა, ოსტატმა ა. ბუსლაევმა.

თ. ნინოშვილი.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

რუსთაველთა 8 საპრიზო ადგილი

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში პირველობისთვის საბრძოლველად მცხეთას ნიჩბოსნობის თითქმის ყველა ცენტრის წარმომადგენლები ეწვივნენ. არ ჩამოვიდნენ მხოლოდ თბილისისა და აფხაზეთის მოსწავლეები. რატომ? ამას ალბათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გაარკვევს, რომელმაც ასპარეზობის გამართვისთვის, ძალების საშემოდგომო დათვალიერებისთვის საკმაო ხარჯი გასწია.

შეჯიბრებაში აჭარის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავისა და მცხეთის ნიჩბოსნები ჩაებნენ, ყველაზე კარგად კი რუსთაველებმა იასპარეზეს — ექვსი კლასის ნავებით რბოლებში რვა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. სამაგიეროდ, ქუთაისელებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილის მოპოვება ვერ შეძლეს.

პროგრამაში იყო მხოლოდ ერთადგილიანი და ორადგილიანი ნავებით 500 მეტრზე რბოლები. ერთი სიტყვით, მოსარდფეს ამ მხრივ ძალა მაინცდამაინც არ დასდგომიათ, მაგრამ საერთო შედეგები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემპიონთა მაჩვენებლებს) სახარბიელო როდი იყო. სპეციალისტების აზრით, მიზეზი ის არის, რომ სასწავლო წელი ახალი დაწყებულია და არც ინვენტარი აქვთ საკმარისი. მაგრამ ვნახოთ, მარტის არდადეგებზე ბავშვები სპორტულ გამოცდებს როგორ ჩააბარებენ.

ტექნიკური შედეგები

გოგონები. **ბაიდარა. ერთადგილიანი.** ი. სერედა — 2.38,6, ნ. ლეზანა (ორივე—რუსთავი) — 2.44,0, მ. დადეშელი (მცხეთა) — 2.56,0; **ორადგილიანი.** სერედა — ლეზანა — 2.32,9, დადეშელი — რ. ფილიევა (მცხეთა) — 2.40,2, რ. ბასილია — ა. ბაღდასარიანი (აჭარა) — 2.43,0.

ბაგუკები. **ბაიდარა. ერთადგილიანი.** რ. მარტიროსიანი (აჭარა) — 2.29,2, გ. ზურაბიშვილი (რუსთავი) — 2.31,3, ს. სოღოიანი (აჭარა) — 2.35,1; **ორადგილიანი.** სოღოიანი — რ. მერუშარიანი (აჭარა) — 2.14,3, ი. რუდენკო — ზურაბიშვილი — 2.16,8, გ. გელოვანი — ს. დადეშელი (მცხეთა) — 2.17,2. **კანოე. ერთადგილიანი.** გ. ტრიბუნსკი — 2.37,4, ი. ღუდუშაური (ორივე — რუსთავი)—2.40,9, ი. გურიანოვი (ფოთი) — 2.44,0, **ორადგილიანი.** ტრიბუნსკი — ღუდუშაური — 2.30,6, პ. ჩილინგარიდი (აჭარა) — მერუშარიანი — 2.44,0, რ. ახობაძე (ფოთი) — გურიანოვი — 2.55,2.

ე. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მცხეთა.

ოსტატები მრავლად იყვნენ

ტანმოვარჯიშეებმა თბილისში მოიყარეს თავი. სარბიელზე გამოვიდა 91 სპორტსმენი, რომელთა შორის 13 სპორტის ოსტატი და 23 სპორტის ოსტატობის კანდიდატი იყო. ეს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა, მაგრამ სპორტის ოსტატთა პროგრამით შეჯიბრება მხოლოდ გოგონებმა გამართეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასკოლო ასაკის მოზარდთა შორის ტანვარჯიშის რთულ იღეთებს გოგონები უფრო იოლად ითვისებენ და ნასწავლის დემონსტრირებაც არ უჭირთ.

სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის პარველობა თბილისელ ლ. კილასონიას (განათლების განყოფილება) მიეკუთვნა — 72,1 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზეც მისი თანაგუნდელები ლ. ნაგროზაშვილი (70,95) და ნ. სულაქველიძე (70,85) გავიდნენ.

მაგრამ ამ შეჯიბრების მონაწილეებში კილასონიას მეობნიც აღმოჩნდნენ. თბილისის განათლების განყოფილების გუნდის წევრმა ვ. აბულაძემ და ცხინვალელმა ზ. ცხოვრებოვამ შესაბამისად 72,95 და 72,3 ქულის მოგროვება შეძლეს, მაგრამ ისინი უკონკურსოდ დამოდიოდნენ (მათი ყველა მონაცემი დებულების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა).

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯარჯიმე გოგონებში გამარჯვებისოკის საინტერესო ბრძოლა გამართეს გორელმა ი. ამაშუკელმა, თბილისელებმა ვ. სურმავამ (განათლების განყოფილება) და ვ. კუტავამ („დინამო“). ამაშუკელის უკეთესმა მოშზადებამ თანდათან იჩინა თავი და საბოლოოდ გამარჯვებაც მას დარჩა — 69,2 ქულა. კუტავამ სურმავას 0,05 ქულით გაუსწრო და II ადგილი დაიკავა — 68,65.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში უმაღლესი თანრიგისა სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ასპარეზობა გაჭლდათ. ძალები აშკარად უთანაბრო იყო. ყველაზე კარგი მოშზადება გამოავლინეს ბორელებმა შ. გაგუამ და ზ. გოდელაშვილმა, მაგრამ მათს ოსტატობის დონეშიც საგრძნობი განსხვავება იყო. გოდელაშვილი, რომელმაც საბოლოოდ 93,8 ქულა მოაგროვა, თანაგუნდელს 1,85 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა თბილისელი მ. მაზმიშვილი (განათლების განყოფილება) — 93 ქულა.

პირველი თანრიგის პროგრამით მოასპარეზეთა შორის საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები: ფ. ბოკერია — 98,65, ვ. ფიოდორიკი (ორივე — განათლების განყოფ ლება) — 98,1, ლანჩხუთელი პ. წერეთელი — 94,65. მეორეთანრიგოსანთა შეჯიბრება მოიგო ნ. ბარდაძემ (თბილისი, განათლების განყოფილება) — 101,15.

ტ. ქიმისტარიშვილი.

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში

18 მოჭადრაკე მონაწილეობს „დინამოს“ საქალაქო საბჭოს პირველობაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (10 ტური) ტარდება. პირველ ექვს ადგილზე გასულნი გაისად „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონატში ითამაშებენ.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი — 3 ქულა, ვ. პაპიაშვილი, ა. წერეთელი და პირველთანრიგოსანი ბ. მიქაბერიძე — 2,2-2,5.

მიმდინარეობს 64-უჯრიან შაშში სასახლის თასის I გაოთამაშება. ბრძოლაში 34 მოშაშე ჩაება, მათ შორის 12 ოსტატობის კანდიდატია.

5 ტურის შემდეგ დაწინაურდა ოსტატობის კანდიდატი ა. ბერუაშვილი (5 ქულა), რომელიც ქულა-ნახევრით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს.

გ. ფაბილიანბი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კოლექტიური თამაშის პრინციპი



თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 18 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 91:86 (50:52).

„დინამო“: ძიძიგური (გუნდს შესძინა 26 ქულა), ქარაბაკი (18), მ. ქორქია (17), ჩიხლაძე (12), ჯგერენაია (8), ნ. ქორქია (6), პულავსკი (2), ბიჭიაშვილი (2), ჩხიკვაძე.

ცსკა: ს. ბელოვი (22), ფარმუზამედოვი (18), ე. კოვალენკო (12), დიაჩენკო (11), მილოსტარდოვი (10), სალნიკოვი (7), პეტრაკოვი (3), ედეშკო (2), კოვირკინი (1).

მსაჯები: ა. აგაფონოვი, ა. კუუსკვერი (ორივე — ტალინი).

დუბლიორები—57:88 (26:46).

ამბობენ, ორი სავსებით თანაბარი ძალის გუნდი არ არსებობსო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ვერც ორ ერთნაირი ხასიათის გუნდს შეხვდებით სშირად. ძალა და ხასიათი, როგორც წესი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იცვლება და ეს მონაცვლეობა მეტწილად განსაზღვრავს თამაშის სიუჟეტს.

თბილისის „დინამო“ ნულ-ნელა, შეხვედრიდან შეხვედრამდე აკლენს თავის შესაძლებლობებს ბოლომდე. უფრო მეტიც, დღევანდელი „დინამო“, ამის თქმა კი უკვე თამამად შეიძლება, თვისობრივად განსხვავებული გუნდია, რომელიც ცდილობს თავისი მდიდარი ტრადიციები ორგანულად დაამთხვიოს თანამედროვე კალათბურთის მოთხოვნებს. ეს ტენდენცია, ეს სურვილი ერთადერთი სწორი გზაა იმ ურთულეს პროცესში, რომელსაც კოლექტივის ჩამოყალიბება ჰქვია. ქება და დიდება „დინამოს“ ამ მისწრაფებისთვის!

სხვათა შორის, ტრადიციისადმი ერთგულება გუნდს შინაგანი ძალა იყო მუდამ, შინაგანი, მაგრამ გამოუვლენელი. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ამ ტრადიციის აღდგენა თავისი მუშაობის მთავარ თემად გამოაცხადა და, როგორც ხედავთ, არცთუ უსაფუძვლოდ. რაც შეეხება ბრძოლის სურვილსა და ცოდნას, ურომლისოდაც თანამედროვე კალათბურთში წარმატების მიღწევა ძნელია, თბილისელთა ყველაზე დიდ შენაძენად უნდა მივიჩნიოთ ახალ სეზონში.

კამერულმა კალათბურთმა, რაგინდ ეფექტურადაც უნდა გვაჩვენოს იგი, თავისი დრო მოჭამა. ათი ფიზიკურად სრულყოფილი ათლეტის ბრძოლა ფარქვეშ (ფარი თანამედროვე კალათბურთში თამაშის დასაწყისიცაა და მისი საბოლოო მიზანიც) საკალათბურთო სიუჟეტის ჩვეულებრივი ელემენტია, რომელიც, ამის მიუხედავად, დიდ შრომასა და ზღაპრულ ძალას მოითხოვს. დღევანდელ კალათბურთში ყოველი ქულის მნიშვნელობა ერთიორადაა გაზრდილი. შესაბამისად გაიზარდა ბრძოლის ხარისხიც, ხასიათიც, მანერაც. ბრძოლა საჭიროა ყველაფრისთვის, ყველაზე მეტად კი — საკუთარი უფლებების, საკუთარი პრეტენზიების დასასაბუთებლად.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის შემადგენლობაში ბევრი მაღალი კლასის კალათბურთელი თამაშობს. მაგრამ მას, „დინამოსგან“ განსხვავებით, ერთ პრინციპად არა აქვს ჩამოყალიბებული კოლექტივის სულისკვეთება. სოლისტებისთვის მარტივ სიტუაციებში ფარისთვის ბრძოლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. არის სიმაღლე, არის ტექნიკა, არის ნახტომი. მაგრამ როდესაც სიტუაცია იცვლება, როცა სოლისტი კოლექტივის სურვილს უპირისპირდება თუნდაც ფარისთვის ბრძოლაში, იგი აშკარად წამგებიან პოზიციაზე დგება.

კოლექტივი სხვა მხრივაც უპირისპირდება ცალკეულ შემსრულებლებს. აი, თუნდაც სალნიკოვი. კიევის „სტროიტელში“ ამ ფენომენალურ კალათბურთელს თავისი ადგილიც ჰქონდა და მკვეთრად გამოძერწილი როლიც. ცსკა-ში კი მისი მარგი მოქმედების კოეფიციენტი მინიმუმამდეა დაყვანილი. იმიტომ, რომ იგი ანსამბლის მექანიკური წევრია და არა ორგანული ნაწილი. კოლექტივიდან ამოვარდნილი სოლისტი ჯერჯერობით პაერშია „გამოკიდებული“ — იგი თავისთვის თამაშობს, გუნდი კი (ან, უფრო სწორად, მისი ყოველი წევრი) — თავისთვის.

განსაკუთრებული შეხედულება კალათბურთზე მუდამ განსხვავებულ ხელწერას წარმოშობს. სსრ კავშირის ჩემპიონის თამაში, პირველ ყოველისა, კარგად დაზეპირებული სქემების მონაცვლეობაა, სადაც ყველა სოლისტს ერთი როლი აქვს დადგენილი. მაგრამ ამ სქემებს აკლია შინაგანი სიღრმე, მატერიალური საწყისი და, თუ გნებავთ, ემოციებიც. საკმარისია ესა თუ ის სქემა რეალურ წინააღმდეგობას წააწყდეს, რომ მაშინვე ირღვევა მოქმედების ერთიანობა და შესრულების ეფექტი.

თბილისის „დინამოს“ მთავარი იარაღი, მისი ტრადიციის განმსაზღვრელი ნიშან-თვისება, ტემპია. ტემპი, რა თქმა უნდა, აქვთ სხვა გუნდებსაც, პირველ ყოველისა ცსკა-ს. მაგრამ საანგარიშო მატჩში ტემპი „დინამოსთვის“ არამც და არამც არ იყო თვითმიზანი. აი, ეს არის მთავარი. ტემპი მაშინ არის მძლავრი იარაღი, როცა მას ზურგს უმაგრებს ბრძოლის წყურვილი და დაუოკებელი სწრაფვა მეტოქის კალათისკენ.

ამ მატჩში თბილისელთა ივრიშების შეჩვევება მართლაც ძნელი იყო. როცა გადაულახავ ზღუდეს წააწყდებოდა, იგი, სასმენელილი, ახალი გზების გამონახვას იწყებდა კალათისკენ. იყო, რა თქმა უნდა, სხვა მიზეზებიც, რომლებმაც „დინამოს“ წარმატება განაპირობა. ეს მიზეზები, მართალია, ნაკლებად ემოციურია, მაგრამ უსათუოდ გუნდის სწორ ტაქტიკურ აზროვნებას გამოსატავს. მაგალითად, საჭირო გახდა როლში შეჭრილი ს. ბელოვის უგნებელყოფა? დინამოელებმა ეს ძნელი და საპატიო მისია თამამად ანდეს ახალგაზრდა ნ. ქორქიას, რომელმაც ამოცანა დიდი აღმავლობით გადაჭრა. სხვათა შორის, ნ. ქორქიას რამდენიმე თამამმა ჯასვლამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა „დინამოს“ წარმატება.

ან თუნდაც ქარაბაკის მაგალითი. იმის აღიარება, რომ ქარაბაკმა ბრწყინვალედ ითამაშა, ნიშნავს, რომ არაფერი თქვა ამ კალათბურთელის ნამდვილად გმირულ ხასიათზე. ქარაბაკმა შარშანდლიდან მოყოლებული ბევრი რამ გააკეთა თავისი კოლექტივისთვის. ამ კალათბურთელის ბოლო ორი წლის ცხოვრება ნამდვილი სპორტული რეჟიმის გაკვეთილია, რისთვისაც ქარაბაკი დამატებითს ქებას იმსახურებს.

გავიხსენოთ ძიძიგური, უხმო და შეუპოვარი მუშა, რომლის წინამეც არმიელთა ტანსაცმელი ცენტრალური თავდამსხმელების წინააღმდეგ ბრძოლის უმძიმესი ამოცანა იყო დასახული, ძიძიგური, რომელმაც ამ მატჩში ყველაზე მეტი ქულა მოუტანა თავის კოლექტივს და რომელმაც, 4 ჯარიმის მიუხედავად, ბოლომდე შემოინახა თავი გუნდისთვის.

კიდევ ერთი ახალი თვისება შევნიშნეთ თბილისის „დინამოს“: მოღონათა სწორი ანალიზისა და მდგომარეობის შეფასების უნარი. ვისაც გამოსდიოდა თამაში, კოლექტივი უსიტყვოდ აძლევდა პირველობას. ქარაბაკმა თავისი პატარა პერიოდი შექმნა ამ მატჩში, ძიძიგურმა — თავისი. იმიტომ, რომ ორივე უსიტყვოდ და საქმიანად იბრძოდა ერთი საქმისთვის, იმიტომ, რომ გუნდის ყველა წევრი იმავე ბრიგადა და სურვილით იყო შეპყრობილი.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: ნ. ქორქიას და ს. ბელოვის ორთაბრძოლის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ნოემბრისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	6	0	559—456	6
„დინამო“ თბ.	5	0	448—411	5
„დინამო“ მ.	4	0	392—297	4
ცსკა	3	2	446—404	3
„კალევი“	2	2	332—323	2
„ეალგირისი“	1	3	306—331	1
„სტროიტელი“	0	2	157—195	0
„სტატიბა“	0	2	158—196	0
რტი	0	4	331—395	0
„ურალმაში“	0	6	450—571	0

ახალი ამბები-74

● **კიევი, 18 ნოემბერი.** აქ გაიმართა უკრაინისა და უნგრეთის ხელბურთელ ეაკთა გუნდების მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ამჯერად გაიმარჯვეს სტუმრებმა. შეხვედრის ანგარიშია 20:19.

ისარივით აიჭრა ცაში...

სსრ კავშირის ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მფრინავმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. სავიცკიამ ე-66 ბ ზეგერითი რეაქტიული თვითმფრინავით ქალთა ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სხვადასხვა სიმაღლეზე სწრაფასვლაში.

სავიცკიას შედეგები ასეთი იყო: 3000 მეტრ სიმაღლეზე — 41,5 წამი, 6000 მ — 60, 9000 მ — 80,5, 12000 — 119,5 წამი.

ეს შედეგები საგრძნობლად აღემატება სავიცკიას მიერვე წლევანდელი წლის დამდეგს დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს.

მასალები ფრენის შესახებ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში (ფაი) გაიგზავნება შედეგების მსოფლიო რეკორდებად დასამტკიცებლად.

ნ. გოლოვანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

საკვლევი ჟურნალისტიკა

,,ცსკა-ჯალ ბეთლოვენ

საღ ვითამაშოთ?

ადიგენის რაიონში უდე ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მოწინავე სოფელია. ახალგაზრდები გულმოდგინედ შრომობენ კოლმეურნეობაში, მაგრამ დასვენებისა და გართობის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელს ფეხბურთის მინდორი ჰქონდა, მაგრამ ახლა იქ ვარჯიში და შეჯიბრების გამართვა აღარ შეიძლება. საშუალო სკოლას აქვს კალათბურთის პრიმიტიული მოედანი, მაგრამ ისიც მოუვლელია. ერთი ფარი მთლიანად მოგლეჯილია.

ვის არ მივმართეთ დახმარებისთვის, მაგრამ ამაოდ. იქნებ თქვენ მაინც გვიშველოთ?

ო. აგულაძე, ნ. ბალახაშვილი, ი. ჭალიაშვილი, ნ. ალოგბაშვილი, ს. ბალახაშვილი, ნ. პარშნაშვილი, გ. ბალახაშვილი, გ. ზაზაშვილი, ბ. მერაბიშვილი, ზ. ოგოლაშვილი, თ. ზაზაშვილი, ფ. პეტაშვილი, თ. უულჯანიშვილი, გ. პეტაშვილი.

სოფ. უდე,
ადიგენის რაიონი.

რეგატა.. უდაგნოში

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის ოსტატებმა თავი მოიყარეს... შუა ყაზილყუმის უდაბნოში. აქ, ახალგაზრდა ქალაქ უჩკუდუკის მახლობლად შექმნილ ხელოვნურ ტბაზე მოეწყო ისტორიაში პირველი შეჯიბრება სანიჩბოსნო მრავალჭიდში. გამარჯვების ბედს სამ სხვადასხვა დისტანციაზე დაგროვილი ქულების ჯამი წყვეტდა.

თუმცა „უჩკუდუკი“ ქართულად „სამ ჭას“ ნიშნავს, აქ მრავალი წლის მანძილზე ყოველ წელიწადს წყალს ოქროს ფასი ჰქონდა. მხოლოდ სამი ამოშშრალი, დასილული წყარო მოვვაგონებდა, რომ ერთ დროს აქ წყალსატევი ყოფილა. გეოლოგთა, მშენებელთა და მეხაქონლეთა ახალ ქალაქს მაცოცხლებელი წყალი მხოლოდ უდაბნოს ქვიშაში ამუ-დარიის ნაპირებიდან გამოყვანილმა მილებმა მოუტანა. წყალმა ყველაფრისთვის იკმარა!

ყაზილყუმის წყალსაცავზე გაკეთდა უზბეკეთში პირველი დისტანცია, რომელიც შეჯიბრების ჩასატარებლად ყველა პირობას აკმაყოფილებს. უზბეკეთში პირველად შესრულდა სპორტის ოსტატის ნორმატივები ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. ამ წარმატებას მიაღწია რვა ადგილობრივმა სპორტსმენმა, ტაჯიკეთის ხუთმა წარმომადგენელმა, ორმა ზოლდაველმა და ერთმა ყაზახმა ნიჩბოსანმა.

უზბეკეთის პირველი ამბები ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. ამ წარმატებას მიაღწია რვა ადგილობრივმა სპორტსმენმა, ტაჯიკეთის ხუთმა წარმომადგენელმა, ორმა ზოლდაველმა და ერთმა ყაზახმა ნიჩბოსანმა.

უზბეკეთის პირველი ამბავი ლ. სოლტანოვამ, აგრეთვე, უზბეკეთის „ბურევესტნიკის“ ფაკულტეტის „ვაკეთა ეკიპაჟმა — ქვეყნის ჩემპიონებმა ა. კლიმენკომ და ნ. იოშჩენკომ. ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მათმა თანამემამულეებმა, საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებმა ბ. რეანიკოვმა და ვ. კისელკოვმა.

ჩათვლა გუნდურიც იყო. 14 კოლექტივს მორის ყველაზე აჯობებს ტაშკენტის არმიელებმა. შემდეგ მოდიან „მეხსატი“ (უზბეკეთი) და ტაჯიკეთის ნაკრები. ცუდად არც მახპილძლები — სპორტკლუბ „სოგდიანის“ ნიჩბოსნები გამოსულან.

მაგრამ მასპინძლებისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო მადლობა, რომელიც შეჯიბრეაია კარგი ორგანიზაციისთვის ძალიან.

საკრთო აზრი ასეთია: ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა. გაჩნდა საიმედო სპორტის ძოყვარულთა ასპარეზობის საამტერო, მომზადებული ფორმა. სპეციალისტების აზრით, საჭირო იქნება ცალკეულებების შეტანა ნიჩბოსან-მრავალჭიდელთა ტექნიკურ და ტაქტიკურ მოამზადებაში. ამავე დროს, მრავალჭიდში ვარჯიში შედეგების გაუმჯობესებაში შეუწყობს ხელს ნიჩბოსანებს, რომლებიც ცალკეულ დისტანციებზე ოსტატდებიან.

საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის ნიჩბოსნობის ფედერაციას ეკუთვნის. პირველი ტურნირის მონაწილე სპორტსმენებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა უზბეკეთს ოა ჩემპიონატში საასპარეზოდ, რომელიც გაისად ჩატარდება. იმედია ტრადიცია.

ტ. გოლუბკინა,
ე. ეფიმოვი,
ტაშკენტი.

საკვლევი ჟურნალისტიკა

დღეს მასპინძლობენ „უემბლი“ და „ჰემპდენ პარკის“ ✓

20 ნოემბერი დიდი ფეხბურთის დღეა — დღეს გაიმართება ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი თამაში. ბრიტანეთის წამყვან ნაკრებ გუნდებს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავთ: შოტლანდიის გუნდი გლაზგოს „ჰემპდენ პარკის“ მინდორზე ესპანელებს უმასპინძლებს, ხოლო ინგლისელები „უემბლიზე“ შეხვდებიან პორტუგალიის ფეხბურთელებს. მასპინძელი გუნდების მწვრთნელებმა დონ რივიმ (ინგლისი) და ვილი ორმონდმა (შოტლანდია) გამოაცხადეს თავიანთი ნაკრები კოლექტივების შემადგენლობები.

ინგლისი

შილტონი („ლეისტერ სიტი“), კლემენსი („ლივერპული“), მეიდლი („ლიდს იუნაიტედი“), ნიში („დერბი ქაუნთი“), ჰიუზი („ლივერპული“), ლინდსეი („ლივერპული“), კუპერი („ლიდს იუნაიტედი“), უოთსონი („სანდერლენდი“), ბითი („იფსვიჩ თაუნი“), მედრენი („მიდლსბრო“), ტოდი („დერბი ქაუნთი“), დობსონი („ევერტონი“), ბელი („მანჩესტერ სიტი“), ფრენსისი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), კერი („შეფილდ იუნაიტედი“), ბრაიანტინგი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), ჰადსონი („სტოკ სიტი“), ბოლი („არსენალი“), კლარკი („ლიდს იუნაიტედი“), უორთინგტონი („ლეისტერ სიტი“), თომასი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ჩენონი („საუთჰემპტონი“), კიგანი („ლივერპული“), უელერი („ლეისტერ სიტი“).

შოტლანდია

ჰარვეი („ლიდს იუნაიტედი“), ჯარდინი („გლაზგო რეინჯერსი“), მაკქუინი („ლიდს იუნაიტედი“), ბუჩანი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი“), დონაჩი („მანჩესტერ სიტი“), ჯონსტონი („გლაზგო რეინჯერსი“), ბერნსი („ბირმინგემ სიტი“), მორგანი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ფორსაითი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ჰათჩისონი („კოვენტრი სიტი“), სტიუარტი („კილმარნოკი“), საუნდერსი („მიდლსბრო“), ჰოლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“), დალგლიში („სელტიკი“), დინსი („სელტიკი“), ჯონსტონი („სელტიკი“), ლორიმერი („ლიდს იუნაიტედი“), ჯორდანი („ლიდს იუნაიტედი“).

(საკ. ინფ.).

არგენტინელთა განცხადება

როგორც არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, იგი 1975 წელს კორდობაში, მარ დელ პლატაში, მენდოზასა და როზარიოში, ესე იგი იმ ქალაქებში, სადაც 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონატია, ჩაატარებს დიდ საერთაშორისო ტურნირებს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ეს შეჯიბრება, ფედერაციის აზრით, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია უნდა იყოს.

ბენქსი ჰაბუკთა მწვრთნელად დაინიშნა

ამ ოთხი ხნის მანძილზე, რაც მწვრთნელად მუშაობს, გ. ბენქსმა სპეციალისტთა წრეში საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ბენქსი ჰაბუკთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მას დაევალა გუნდის მომზადება უეფა-ს მორიგი ტურნირისთვის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

მწვანე კონტინენტის ახალი იმედი

Junge Welt

ავსტრალიელ მოცურავეთა ნაკრების განთქმულმა მწვრთნელმა ფორბს ჯარლაილმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდებამდე მიიყვანა შეინ გოულდი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან დამრუნების შემდეგ განაცხადა: „ცურვა ავსტრალიაში უმდაბლეს დონემდე დაეცა. გვაკლია ფული, აცურაო აუზები გამთბარი წყლით, საჭარჯიშო აღჭურვილობა“. ეს აზრი ჯარლაილმა გარკვეული მიზეზების გამო გამოთქვა, სამაბი კი მას ნამდვილად ჰქონდა, ვინაიდან წლის დამდეგს სამშობლო დატოვა პროფესიონალმა მწვრთნელმა, ერთ დროს სახელგანთქმულმა მოცურავემ ტონი ფრეზიერმა, რომელიც ოკეანის გაღმა, კანადაში გადავიდა მონრეალის მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის იქაური სპორტსმენების მოსამზადებლად.

ჯარლაილი პესიმიზმით იყო გამსჭვალული: „თუ ავსტრალიელ მოცურავეთა ბოლოდროინდელი არადამაკმაყოფილებელი შედეგების მიხედვით ვიხელეთ, გარდა სტეფენ ჰოლანდის, შეინ გოულდის, ჯენი ტურალისა და სალ ლოკერისა, ყველა დანარჩენის მაჩვენებლები წვეთია ზღვაში იმასთან შედარებით, რაც აქამდე ავსტრალიის ცურვის ისტორიაში იყო“.

და აი, ამ უვერული შედეგების ფონზე გამოჩნდა 14 წლის, 175 სანტიმეტრი სიმაღლის გოგონა სონია გრეი, მწვანე კონტინენტის ამომავალი ვარსკვლავი, რომელსაც ცურვის ახალი ოლიმპის დაპყრობას უწინასწარმეტყველებენ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ეს ნიუკასლელი პატარა გოგონა კარლაილისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა. თვით გრეი ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატს შორიდან ადევნებდა თვალს და თავის მაშინდელ ინტერვიუში, რომელიც ჟურნალ „ზე ინტერნეიშნლ სპიმერს“ მისცა, დანაღვლიანებულმა თქვა: „სამწუხაროა, რომ ბელგრადის მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მივიღე მონაწილეობა. არადა, რამდენ რამეს შევიძენდი, იქ რომ ყოფილიყავი“.

ცოტა ხნის შემდეგ ს. გრეიმ უკვე რამდენიმე სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში სცადა ძალა. ქრაისტჩერჩში სონიას უნდა დაემტკიცებინა, რომ მის მიერ მანამდე ნაჩვენები შედეგები 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შემთხვევითი არ იყო, მით უმეტეს, რომ დრო 1 წუთის ზღვარს უახლოვდებოდა.

— თავისუფალი სტილის მოცურავისთვის ეს ერთწუთიანი ზღვარი მაგიური დროა, — განაცხადა გრეიმ შეჯიბრების დაწყებამდე. — 60 წამი თვითონ გიწვევს საპაექროდ.

ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ავსტრალიაში აქვს, ვინაიდან პირველად მსოფლიოში სწორედ აქაურმა მოცურავე ქალმა დაუნ ფრეზიერმა გადალახა 60-წამიანი ზღვარი. ამა წლის დასაწყისში სამხრეთ უელსის პირველობაში გრეიმ არათუ მიაღწია 60-წამიან ზღვარს, არამედ გადალახა კიდეც იგი: შესანიშნავი დრო — 59,9 წამი აჩვენა.

პირველი ნათლობა სონიამ ნიუკასლის ცურვის ცენტრალურ კლუბში მიიღო. მაშინ იგი მხოლოდ 7 წლისა იყო. დრო გადიოდა და შედეგებიც თანდათან უმჯობესდებოდა.

— ვარჯიშის მეთოდები უფრო გართულდა, — ამბობს სონია. — დასაწყისში და შემდეგაც დღეში 10-12 კილომეტრს ვცურავდი. ეს არ აკმაყოფილებდა ჩემს მაშინდელ მწვრთნელს გრეკემ ლეისტერს და ორჯერ, ზოგჯერ კი სამჯერაც მიხდებოდა დღის განძავლობაში წყალში ჩასვლა. ამ პერიოდისთვის უკვე 15 კილომეტრს ვცურავდი.

შემდეგ შეჯიბრებაში, რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართა, მხოლოდ ოთხმა მოცურავე ქალმა შეძლო ერთ წუთზე ნაკლები დრო მოენდომებინა 100-მეტრიანი დისტანციისთვის. მათ შორის სამი კანადელი იყო — ამუნდრიდი, რაიტი, ჯარდინი, და ერთიც — ავსტრალიელი, სონია გრეი. ამ უკანასკნელმა ოთხთა ეს ჭიდილი თავის სასარგებლოდ დაამთავრა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, სონიამ ივივე მანძილი 58.96 წამში დაფარა. ამის შემდეგ იგი 200-მეტრიან მანძილზე ცურვაში პირველი ფავორიტი გახდა. გრეი აქაც პირველი იყო — 2.04,27, რამაც მეშვიდე ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო შედეგების სიაში.

ამ წარმატებებმა ოპტიმისტურად განაწყო ავსტრალიელი გულშემატკივრები და სპეციალისტები. სონია გრეიში ისინი ახალი მწვერვალების დამპყრობს ხედავენ.

პატარა ავსტრალიელი გოგონა ნომავალი მსოფლიო ჩემპიონატის (შეჯიბრება 1975 წელს გაიმართება კოლუმბიაში) ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაა მიჩნეული. სონია მთელი ძალღონის დაძაბვით ემზადება ამ შეჯიბრებისთვის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი გაცხოველებით ვარჯიშობს ბატერფლაის სტილით ცურვაში (ეს ცხობა ამ ცოტა ხნის წინათ მოვიდა ნიუკასლიდან).

— ამას მხოლოდ იმ მიზნით ვაკეთებ, რომ მინდა ფიზიკურად დავჯაბნი ჩემი მეტოქენი, ისე კი თავისუფალი სტილის ერთგული დავრჩები, — ამბობს სონია გრეი.

მომავალი ზაფხული გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა გრეის მესამე სპორტსმენი იყოს ცურვის ისეთი მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც ავსტრალიაა, შეინ გოულდის (58,5) და დაუნ ფრეზიერის (58.9) შემდეგ. შეინ გოულდის აზრით, სონია გრეი სულ მალე გახდება მოკლე დისტანციების „დედოფალი“ და 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ავსტრალიას კვლავ დაუბრუნებს მსოფლიო რეკორდებს.

ფორბს ჯარლაილი კი უკვე თამამად აცხადებს:

— როგორც იქნა, გვეღირსა — ამ პატარა „ჯადოქრის“ მეშვეობით ავსტრალია კვლავ გახდება მსოფლიო ცურვის მეჭა.

გერმანულიდან თარგმნა
მ. რადიანმა.

ევროპა ეჯეჯი-74

● ვარშავა, 18 ნოემბერი. სსრ კავშირის ნაკრებმა ფინალური მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს ანგარიშით 4:1 და სოციალისტური ქვეყნების ნორჩ ოკეანისტთა საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობაში“ გამარჯვება მოიპოვა. საბჭოთა გუნდი დაუმარცხებლად თამაშობდა წინასწარ შეჯიბრებაშიც. ნაკრებს წვრთნიდნენ ი. ტუზიკი და ვ. ზახაროვი.

ჭადრაკში
მსოფლიო პირველობის
პრეტენდენტთა
ფინალური მატჩი

● ●

კარპოვი — კორჩნოი 3:2 (18 ყაიმი)

მოსკოვი, 18 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის XXIII პარტიაში კორჩნოიმ ახალინდური დაცვა გაითამაშა. კარპოვმა, რომელსაც ყაიმიც ხელს აძლევდა, საიმედო სისტემა აირჩია და მეტოქეს უპირატესობის მიღების შესაძლებლობა მოუსპო. მერე კარპოვმა ოდნავ უკეთესი პოზიცია მიიღო და სწორედ ამ მდგომარეობაში კარგა ხნით ჩაფიქრდა: უნდა გადაეწყვიტა, უპირატესობის გამოყენებისთვის ეზრუნა, თუ ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. მან მეორე გზა აირჩია.

როცა თამაში თითქმის გამარტივდა, ლაზერის ფრთაზე პაიკთა ბრძოლამ იფეთქა. მაგრამ მას გართულება არ მოჰყოლია. მდგომარეობა თანაბარი დარჩა. 30-ე სვლაზე მეტოქენი დაშავდნენ.

20 ნოემბერს შედგება მატჩის დასკვნითი, XXIV პარტია. ამ შესვლაში კარპოვს ყაიმიც ჰყოფნის, კორჩნოის კი მხოლოდ მოგება სჭირდება. საყაიმო (3:3) ანგარიშის შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერის მეტოქეს კენჭისყრა დაასახელებს.



ბაბრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ხაჭართველოს და ბელორუსიის გუნდების ამხანაგური მატჩი. 20-24 ნოემბერი. 20 ნოემბერს შედგება II ტური, 21-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 22-ში — III ტური, 23-ში — IV, 24-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის ქრ. № 74)

სსრ კავშირის ჩემპიონატი



„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)

20 ნოემბერს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს.

21 ნოემბერს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება: დღეს — ორგანიზაციებში; აბონემენტებზე — 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — დღეს და ხვალ 10 საათიდან.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინ“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, შემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

უსიტყვოდ.

ნ. ჭელეხსაშვილის ნახატი.

— დაივიწყეს ქართველებმა ქართული ჭიდაობა. მმობლებს ვთხოვე, ბავშვებს ჭიდაობა უნდა ვასწავლო, ჩოხები შეუკერეთ-მეთქი. და აბა, ძმაო!

კ. პატიაშვილის ნახატი.